ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №36
(გამარტივებული შესყიდვა CPV –18222000)

ქ. თბილისი 08.07.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ენ თი სი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი ჯანგულაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ორი ცალი მოსამართლის მანტიის სახელმწიფო შესყიდვა.
3.2 მოსამართლის მანტიის ტექნიკური აღწერა:
• სწორი სილუეტის, იატაკიდან 20 სმ-ით დაცილებული. კალთა და ზურგი დამუშავებული კოკეტკებით, კოკეტკის ქვემოთ კალთაზე თითოეულ მხარეს სამ-სამი ნაკეცით, ზურგზე შუაში ერთი შემხვედრი ნაკეცით, ხოლო გვერდებზე ორი შემხვედრი და თითო განიერი ნაკეცით;
• კალთისა და ზურგის კოკეტკა სახელოს ჩაკერების ადგილას გაფორმებული უნდა იყოს 4 სმ-იანი დაგოფრილი დეტალით. სახელო ჩაკერებული უნდა იყოს ნაკეცებით, ერთი შემხვედრი ნაკეცი შუაში და თითო-თითო აქეთ-იქეთ. სახელოს ბოლო დამუშავებული უნდა იყოს 7 სმ-ის სიგანის მანჟეტით
• მანტია უნდა იკვრებოდეს ფარული ღილით და ღილკილოთი, დგარი საყელოთი. მანტიას უნდა მოყვებოდეს ორი ცალი თეთრი საყელო, რომელიც გაფორმებული იქნება წითელი კანტით. მანტიის საყელო უნდა მაგრდებოდეს ღილით და ღილკილოთი.
• მანტია უნდა შეიკეროს აბრეშუმის ტიპის ქსოვილისაგან, ქსოვილის შემადგენლობა უნდა იყოს: 63% (+/- 2%)- პოლიესტერი, 32%(+/- 2%) - ვისკოზა, 5%(+/- 2%) - ელასტინი (ლაიკრა), ქსოვილის გრამაჟი 220-250გრ/მ2.
• მანტიის ფერი უნდა იყოს - მუქი შავი;
3.3 თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, თუ ის შეესაბამება მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ერთი ცალი მანტიის ღირებულება შეადგენს - 150 (ას ორმოცდაათი) ლარს;
4.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის და კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი - ვახტანგ გარდაფხაძე;
5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირია - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - ზვიად ძაბირაძე;

7. მიწოდების ვადა და გარანტია

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 სამუშაო დღეში (მიმწოდებელი ვალდებულია ზომა აიღოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში).
7.2 მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #32 ან ჭონქაძის 10ა - შემსყიდველის საწყობები, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
7.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს;

8 ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
8.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის **საკუთარი შემოსავლები**;

9 ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10 ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან

და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11 მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.
12.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ს/ნ 203860642	შპს „ენ თი სი“ მის: ქ.თბილისი, დ.დიღომი 3მ/რ, კორ.7 ს/კ 405177151 ს/ს თიბისი ბანკი TBCBGE22 ა/ა: GE88TB7247036020100002
გიორგი კაკაურიძე თავმჯდომარის მოადგილე	ირაკლი ჯანგულაშვილი დირექტორი

N T C LTD

Digitally signed by N T C LTD
Date: 2019.07.08 16:10:13 +04'00'